დამტკიცებულია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 მაისის №11 დადგენილებით
მოდიფიცირებულია თჰუ აკადემიური საბჭოს
2021 წლის 23 მარტის №04 დადგენილებით
მოდიფიცირებულია თჰუ აკადემიური საბჭოს
2023 წლის 30 დეკემბრის №12 დადგენილებით
მოდიფიცირებულია თჰუ აკადემიური საბჭოს
2025 წლის 25 თებერვლის №02 დადგენილებით
მოდიფიცირებულია თჰუ აკადემიური საბჭოს
2025 წლის 03 სექტემბრის N14
გადაწყვეტილებით

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
ჯანდაცვის ფაკულტეტის
დებულება

მუხლი **1.** ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის სტატუსს, მისიას, სტრუქტურასა და ფუნქციებს.

2. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ჯანდაცვის ფაკულტეტი (შემდგომში ფაკულტეტი) წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძირითად საგანმანათლებლო სასწავლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზებას, ჯანდაცვის დარგში განათლების ხელშეწყობას, პროფესიულ განვითარებას ასევე კლინიკური განათლების დანერგვას, შესაბამისი აკადემიური ხარისხების მინიჭებას.

3. ფაკულტეტი ვალდებულია შეუქმნას სტუდენტებს საუკეთესო პირობები სწავლისათვის, მომავალზე ორიენტირებული სამედიცინო განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე; საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება ხარისხი და ეძლევა სათანადო ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება უნივერსიტეტის დებულებით, წინამდებარე დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით.

5. ფაკულტეტის საქმიანობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების და წინამდებარე დებულების საფუძველზე, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს

წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

6. ფაკულტეტი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, არ გააჩნია კანცელარია, ბლანკი და ბეჭედი; ფაკულტეტზე საქმისწარმოების პროცესს, მათ შორის კორესპონდენციაზე მუშაობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კანცელარია.

მუხლი **2.** ფაკულტეტის მისია

ჯანდაცვის ფაკულტეტის მისიაა - ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციის, კვალიფიკაციისა და მაღალზნეობრივი პრინციპების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ჯანდაცვის სფეროში (სტომატოლოგია, საზოგადოებრივი ჯანდავცა და სხვ.), ინოვაციური სწავლებისა და კვლევის სინთეზის, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროცესის მხარდაჭერით. ფაკულტეტის მისიაა, სერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, მოამზადოს ჯანდაცვის სფეროს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც საკუთარი ცოდნით, უნარებით და პასუხისმგებლობით ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივ კეთილდღეობასა და საზოგადოების დემოკრატიულ, ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას.

მუხლი **3.** ფაკულტეტის ამოცანები და ფუნქციები

1. ფაკულტეტი მოქმედი კანონმდებლობის და ამ დებულების შესაბამისად:

ა)შეიმუშავებს ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ადგენს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებსა და გეგმებს;

ბ) მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შემუშავებაში;

გ) უნივერსიტეტის დებულებით დადგენილი წესით ირჩევს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში წარმომადგენლებს;

დ) მონაწილეობს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიის შემუშავებაში.

2. ფაკულტეტის ფუნქციებია:

ა)მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სტომატოლოგიის დარგში სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და შესაბამისი

უნარ-ჩვევების გამომუშავებით;

ბ) ჯანდაცვის ფაკულტეტზე საქმიანობის კოორდინაცია;

გ) ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტების დამყარება მსოფლიოს უნივერსიტეტებთან

და კლინიკებთან;

დ) სახელმძღვანელოების, მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება, სილაბუსების და სასწავლო გეგმების შედგენა;

ე) პროფესორ-მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა.
მუხლი **4.** ფაკულტეტის მართვის ორგანოები

ფაკულტეტის მართვის ორგანოებია:

ა) ფაკულტეტის საბჭო;

ბ)ფაკულტეტის დეკანი.

გ) დეკანის მოადგილე.

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის ფაკულტეტის საბჭო შედგება ფაკულტეტზე არჩეული აკადემიური პერსონალისგან (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი). ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი. ფაკულტეტის საბჭოში შედის ასევე სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარდგენილი 2 სტუდენტი;

2. ფაკულტეტის საბჭო ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის

დებულებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

ა) განსაზღვრავს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის საფინანსო–საბიუჯეტო მოთხოვნას;

ბ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტზე რეალიზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) ამტკიცებს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს; ამტკიცებს სტომატოლოგიური კლინიკის დებულებას;

ე) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის კოორდინაციას ფაკულტეტზე;

ვ) ანიჭებს კურსდამთავრებულებს აკადემიურ ხარისხებს;

ზ) უფლებამოსილია, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 2/3-ის მოთხოვნით, მიმართოს რექტორს დეკანისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე;

თ) ახორციელებს უნივერსიტეტის დებულებითა და ფაკულტეტის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;მუხლი **6.** ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და უნივერსიტეტთან და მესამე პირებთან ურთიერთობებში

წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

2. ფაკულტეტის დეკანი თანამდებობაზე ინიშნება რექტორის მიერ პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით; ფაკულტეტის დეკანი თანამდებობაზე ინიშნება 4 წლის ვადით.
3. დეკანად შეიძლება დაინიშნოს დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც წარმოადგენს ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს.

4. ფაკულტეტის დეკანის ფუნქციებია:

ა) ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ეფექტურად მიმდინარეობის წარმართვა;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს ხელმძღვანელობა;

გ) პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის, აგრეთვე, სტუდენტთა ინდივიდუალური და დამოუკიდებელი სწავლისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა;

დ) ფაკულტეტის სამოქმედო გეგმის, შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად საჭირო ბიუჯეტის პროექტის წარდგენა რექტორისათვის;

ე) აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მისანიჭებელ სტუდენტთა ნუსხის ფაკულტეტის საბჭოსთვის წარდგენა;

ვ) აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის მიზნით, კონკურსის გამოცხადების შესახებ წინადადების წარდგენა უნივერსიტეტის რექტორისთვის;

ზ) მოწვეული პერსონალის საჭიროების შესახებ წინადადების წარდგენა უნივერსიტეტის რექტორისთვის;

თ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთების განაწილების კოორდინაცია და მისი ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფა;

ი) ფაკულტეტის პერსონალის დანიშვნის, გათავისუფლების, დაწინაურებისა და წახალისების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება და რექტორისთვის წარდგენა;

კ) სემესტრული დატვირთვის დაგეგმვის, საათების გადანაწილების, სასწავლო/საგამოცდო ცხრილის შედგენის და გამოცდებისა და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული სხვა

პროცესების ხელმძღვანელობა;
ლ) საგანმანათლებლო პროგრამების თანმიმდევრული განხორციელების უზრუნველყოფა;

მ) კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტების პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა;

ნ) პროგრამების განვითარების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესის კოორდინირება;

ო) კომპეტენციის ფარგლებში ფაკულტეტის საბჭოს, რექტორისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა;

პ) კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და დასამტკიცებლად რექტორისთვის წარდგენა;

ჟ) უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

5. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) რექტორისა და პარტნიორთა კრების ერთობლივი მოტივირებული გადაწყვეტილება;

ბ) საკუთარი განცხადება;

გ) აკადემიურ თანამდებობაზე შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა;

დ) გარდაცვალება, გარდაცვლილად გამოცხადება, უგზო–უკვლოდ დაკარგულად აღიარება, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. დეკანის მოადგილე

1. დეკანის მოადგილეს დეკანის წარდგინებით ნიშნავს რექტორი.

2. დეკანის მოადგილის საქმიანობის მიზანია ფაკულტეტის ფარგლებში სასწავლო მიმართულებით არსებული საქმიანობის ხელშეწყობა. დეკანის მოადგილის ფუნქციებია:

ა) დეკანის დავალებით ფაკულტეტის მართვაში მონაწილეობის მიღება;

ბ) სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის ხელშეწყობა;

გ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევა;

დ) სასწავლო ცხრილების შედგენაში მონაწილეობის მიღება;

ე) დეკანის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება.

მუხლი **8.** ხარისხის უზრუნველყოფა

ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატურ შეფასებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დეკანთან და ფაკულტეტის საბჭოსთან ერთობლივად.

მუხლი **9.** ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკა

1. ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის ათვისებას უზრუნველყოფს სტომატოლოგიური კლინიკა.

2. სტომატოლოგიური კლინიკა კლინიკის დებულების, დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის, შესაბამისი სილაბუსების საფუძველზე უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკული კურსის რეალიზაციას, რაც თავის მხრივ ორიენტირებულია გამოუმუშავოს ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკული საქმიანობის სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევები.

3. კლინიკური სწავლების კურატორ-პედაგოგებს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.

4. ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკის დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დეკანის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

მუხლი **10.** ფაკულტეტის კოორდინატორი

1. სასწავლო პროცესის უშუალო წარმართვასა და კოორდინაციას უზრუნველყოფს ფაკულტეტის დეკანი და სასწავლო პროცესის კოორდინატორი.

2. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის კოორდინატორი უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის გამართულ და შეუფერხებელ ფუნქციონირებას და ფაკულტეტის დეკანის გარდა, მის მუშაობას წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც.

3. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის კოორდინატორი ექვემდებარება ფაკულტეტის დეკანს და წარმოადგენს მის თანაშემწეს სასწავლო პროცესის წარმართვისას.

4. სასწავლო პროცესის კოორდინატორის ფუნქციებია:

ა) ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების კოორდინაცია;

ბ) სემესტრული დატვირთვის დაგეგმვის, საათების გადანაწილების, სასწავლო/საგამოცდო ცხრილის შედგენის, გამოცდებისა და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული სხვა პროცესების კოორდინაცია;

გ) სასწავლო პროცესის ცხრილისა და აკადემიური პერსონალის დატვირთვების მონიტორინგი;

დ) საგამოცდო შედეგების აღრიცხვა და სტატისტიკური დამუშავება;

ე) საგამოცდო უწყებების მართებული და დროული წარმოების კოორდინაცია;

ვ) საფაკულტეტო ბრძანებების პროექტების მომზადება;

ზ) ფაკულტეტის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსების კოორდინაცია;

თ) საგანმანათლებლო პროგრამების თანმიმდევრული განხორციელების პროცესების კოორდინაცია;

ი) ფაკულტეტის განვითარების მიზნებისთვის ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტების დამყარება მსოფლიოს უნივერსიტეტებთან;

კ) პროფესორ-მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა;

ლ) პროგრამების განვითარების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესის კოორდინირება;

მ) სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება და მათი კონტროლი;

ნ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის კოორდინაცია, ადმინისტრაციული რეგისტრაციის მიმდინარეობის აღრიცხვის კოორდინაცია და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტების გამოსაცემად პროექტების შემუშავება;

ო) სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა სტატისტიკურ მონაცემთა ბაზის წარმოების

კონტროლი;

პ) პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზება;

ჟ) სასწავლო პროცესის მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა საქმიანობის განხორციელება.

5. ფაკულტეტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი კოორდინატორი.

მუხლი **11.** ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.

2. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

3. ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიღების წესი, შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობის და პირობების განსაზღვრის წესის შესაბამისად.

4. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში, მათ შორის მართვის ორგანოების არჩევნებში;

ბ) დამოუკიდებლად განახორციელოს სწავლება, კვლევა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

გ) განახორციელოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

5. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

გ) კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებული სამუშაოების შესახებ;

დ) დაიცვას უნივერსიტეტის წესდებით, დებულებით, წინამდებარე დებულებითა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

6. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობის და პირობების განსაზღვრის წესის შესაბამისად.

7. ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის შუამდგომლობით ფაკულტეტის მიერ რეალიზებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შეიძლება მოწვეულ იქნას არასაშტატო

პერსონალი (უფროსი მასწავლებლები და მასწავლებლები); მასწავლებელთა მოწვევის პირობები განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობის და პირობების განსაზღვრის წესით; მოწვეული პერსონალის სემესტრულ დატვირთვას ადგენს დეკანი მათი კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილებისა და პროგრამაში ჩართულობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი **12.** სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

1.წინამდებარე დებულების მიზნებისათვის "სტუდენტში" იგულისხმება პირი, რომელიც "უამაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესით ჩაირიცხა და სწავლობს ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. სტუდენტის სტატუსი, უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით;

ბ) უნივერსიტეტის დებულებით;

გ) უნივერსიტეტის შინაგანაწესით;

დ)საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებანი

1.წინამდებარე დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

2. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება უნივერსიტეტში წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება.

3. ფაკულტეტის პერსონალი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე დებულებას და შეასრულოს მისი მოთხოვნები. ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა.

4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების და დამატებების ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის საბჭო, იურიდიული სამსახურის უფროსი.

5. წინამდებარე დებულების დამტკიცება, დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.

6. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად ცნობა არ ვრცელდება წინამდებარე დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე.

7. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ჯანდაცვის ფაკულტეტის ახალი დებულების

დამტკიცების შემთხვევაში.

9. ჯანდაცვის ფაკულტეტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.